სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/70

ქ. თბილისი 15 ივნისი 2022 წ.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესის" დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების", ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის 2022 წლის 14 ივნისის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 15 ივნისის №01-05-02/18 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესი" თანდართულ „სტუ-ს ვერიფიკაციის დასკვნის" და „სტუ-ს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესის სქემის" ფორმებთან ერთად (იხილეთ დანართი 1 და 2);
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესი (შემდგომში - „წესი“) არეგულირებს უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებს.
2. უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში „პროგრამა“) ფარგლებში პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაცია (შემდგომში - „ვერიფიკაცია“) არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
3. პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობას და ობიექტურობას.
4. პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი პროგრამით.
5. ვერიფიკაციის პროცესის სქემა - პასუხისმგებელი და მონაწილე პირები და ეტაპები განისაზღვრება დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა

1. სტუ-ის ფაკულტეტის დეკანი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით, ამტკიცებს ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფს შემდეგი შემადგენლობით: ფაკულტეტის ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ვერიფიკატორი (განათლების კუთხით), ვერიფიკატორი (დარგის კუთხით), ინსტრუმენტის შემდგენელი, პროფესიული სტუდენტი, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი/ მასწავლებელი დანართი 1-ის გათვალისწინებით.

2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ვერიფიკაციის ჯგუფის წევრების ჩართულობით, სასწავლო წლის დასაწყისში ადგენს ვერიფიკაციის გეგმას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, მტკიცებულებების ვერიფიკაციას.
3. ვერიფიკაციის გეგმა უნდა შეთანხმდეს სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან სასწავლო პროცესის დაწყებამდე.
4. ვერიფიკაციის ჯგუფი ვალდებულია შემუშავებული გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება სასწავლო გეგმის შესაბამისად, მოდულების რაოდენობიდან გამომდინარე მთელი სასწავლო წლის განმავლობაში,
5. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფი ვერიფიკაციის დასკვნას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს წარუდგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ.
6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და სტუ-ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსს წარუდგენს დეტალურ დასკვნას განხორციელებული საქმიანობის შესახებ სასწავლო წლის ბოლოს.
7. ვერიფიკაციის ჯგუფის მუშაობის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და პროგრამების განვითარების მიზნით.

მუხლი 3. ვერიფიკაციის პროცედურა

1. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებათა ვერიფიკაცია.
2. პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
   ა) ვალიდურობა;
   ბ) სანდოობა;

გ) გამჭვირვალეობა;
დ) სამართლიანობა და ობიექტურობა.

3. შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.
4. შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.
5. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა სტუდენტისთვის.
6. შეფასების სისტემა სამართლიანი და ობიექტურია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის პროფესიულ სტუდენტს საშუალებას აძლევს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის, შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.
7. ვერიფიკაციის პროცედურა მოიცავს შემდეგი საკითხების განსაზღვრას:
   ა) რისკების სისტემა (შერჩევის მექანიზმი);
   ბ) პასუხისმგებელი პირი;
   გ) განმახორციელებელი პირი.
8. რისკების სისტემაში გათვალისწინებული უნდა იყოს: დამწყები პროფესიული მასწავლებლის ფაქტორი; პროფესიული მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება; შეფასების ინსტრუმენტში პროფესიული სტუდენტის დავალებების სიმრავლე; ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა; საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება; სხვა ობიექტური გარემოებები, გაუთვალისწინებელი რისკები და აღნიშნული რისკის კოეფიციენტები.
9. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირები პასუხისმგებლები არიან ისეთ პროცედურებზე როგორიცაა:
   ა) ვერიფიკაციის გეგმის შედგენა;
   ბ) ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა;
   გ) შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება;
   დ) შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა;
   ე) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემოებებზე;
   ვ) შეთანხმება რეკომენდაციებზე;

ზ) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

10. სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობს ისეთ პროცედურაში, როგორიცაა:

ა) ვერიფიკატორების შერჩევა;

ბ) ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი.

11. ვერიფიკაციის ჯგუფის წევრები - მონაწილეობენ ისეთ პროცედურაში, როგორიცაა:

ვერიფიკატორი (განათლების კუთხით)

ა) ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა;

ბ) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;

გ) მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება;

დ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;

ე) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;

ვ) წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად;

ზ) შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება;

თ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;

ი) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით;

კ) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენაში მონაწილეობა;

ლ) ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენაში მონაწილეობა;

მ) რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენაში მონაწილეობა (საჭიროების შემთხვევაში);

ნ) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში).

ო) ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).

ვერიფიკატორი (დარგის კუთხით)

ა) ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;

ბ) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;

გ) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება;

დ) შეფასების დროის საკმარისობის შეფასება;

ე) შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება;

ვ) შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის შესაბამისობის შეფასება;

ზ) შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის შესაბამისობის შეფასება;

თ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;

ი) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით;

კ) შეფასების ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა;

ლ) შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით;

მ) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება;

ნ) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება;

ო) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენაში მონაწილეობა;

პ) ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენაში მონაწილეობა;

ჟ) რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენაში მონაწილეობა (საჭიროების შემთხვევაში);

რ) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში).

12. სტუდენტი - მონაწილეობს ისეთ პროცედურებში, როგორიცაა:

ა) წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად;

ბ) შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება;

გ) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში).

13. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - პასუხისმგებელია ისეთ პროცედურებზე, როგორიცაა:

ა) რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში);

ბ) ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).

14. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი და პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი - მონაწილეობს ისეთ პროცედურებში, როგორიცაა:

ა) შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა;

ბ) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება;

გ) მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება;

დ) შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება;

ე) წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად;

ვ) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენაში მონაწილეობა;

ზ) ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენაში მონაწილეობა;

თ) რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენაში მონაწილეობა (საჭიროების შემთხვევაში);

ი) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში).

15. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსი და პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელი - ინფორმირებული უნდა იყოს ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შესახებ.

მუხლი 4. ვერიფიკაციის დასკვნა

1. ვერიფიკაციის ჯგუფი პროცესის დასრულების შემდეგ ადგენს ვერიფიკაციის დასკვნის პროექტს, რომლის შედგენაზე პასუხისმგებლები არიან ვერიფიკატორები.
2. ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზებას უზრუნველყოფს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
3. ვერიფიკაციის დასკვნა უნდა იყოს რელევანტური და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური; იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი.
4. დასკვნის პროექტის განხილვისას ხორციელდება შეთანხმება ფაქტობრივ გარემოებებზე და რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში), რის შემდეგ ვერიფიკაციის ჯგუფი უზრუნველყოფს ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენას დანართი 2-ის შესაბამისად.
5. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით;
6. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.